ქ. ბათუმი 11.01.2019 წ

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2018 დეკემბერში სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს მაუწყებლის დირექტორმა მოგვმართა მაუწყებლის თანამშრომელთა (შტატით გათვალისწინებული პოზიცია) თანამდებობრივი სარგოს მატების თაობაზე. წარმოდგენილი წინადადება ითვალისწინებდა ყველა თანამშრომლის სახელფასო სარგოს ერთიანი პრინციპით, თანაბარზომიერ მატებას 10 %-ით.

მიუხედავად იმისა, რომ ორი წლის განმავლობაში, მიმდინარეობდა კონსულტაციები,თანამშრომელთა სამართლიანი სახელფასო ანაზღაურების სისტემის დასანერგად და გაიცა არაერთი რეკომენდაცია, სამწუხაროდ მენეჯმენტმა ვერ უზრუნველყო მოთხოვნილი საანაზღაურებო პრინციპების შემუშავება და წარმოდგენა დამტკიცებისათვის.

ამის საპირისპიროდ, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, 10%-ნი მატება ნიშნავს იმას, რომ ნაკლები სახელფასო სარგოს მქონე მაუწყებლის თანამშრომელს (იმ შემთხვევაშიც კი, თუ მასზე დაკისრებული ფუნქციის შესასრულებლად დაძაბული შრომა და მაღალი კვალიფიკაციაა საჭირო) მატება ექნება ნაკლები, ხოლო უფრო დიდი სახელფასო სარგოს არსებობის შემთხვევაში, მატება ექნება მეტი. რაც თავისთავად კიდევ უფრო აღრმავებს ამ უთანასწორობას და გვაცილებს სამართლიანი ანაზრაურების პრინციპს. ამიტომ, მრჩეველთა საბჭომ მხარი არ დაუჭირა წარმოდგენილ პროექტს და წინადადება მისცა მენეჯმენტს, თუ მოხერხდებოდა, დეკემბრის თვეშივე წარმოედგინა სახელფასო მატების პროექტი დიფერენცირებით. სადაც გათვალისწინებული იქნებოდა კონკრეტული ფუნქციების აღსასრულებლად აუცილებელი შრომის ინტენსია, კვალიფიკაცია, გარემო, სუბორდინაცია და სხვა. რათა დაუყოვნებლივ დამტკიცებულიყო სახელფასო მატება და თანამშრომლელთა ანაზღაურება მიმდინარე წლის იანვრიდან დათვლილიყო გაზრდილი ოდენობით. სამწუხაროდ, მენეჯმენტმა განმეორებითაც ერთიანი, ათპროცენტიანი მატების გლუვი პრინციპი შემგვთავაზა, რომელსაც მრჩეველთა საბჭო დასაბუთებულად იწუნებს და კიდევ ერთხელ დაჟინებით მოითხოვს მენეჯმენტისაგან სამართლიანი საანაზღაურებო პრინციპების შემუშავებას და უმოკლეს ვადებში წარმოდგენას.